



მანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
შესახებ

აგროინჟინერია, ბაკალავრიატი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
4, 5 მარტი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
14 მაისი , 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	აგროინჟინერია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული, 0719
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადანყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული გადანყვეტილება № 411, 24.09.2012 წ.

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან კინწურაშვილი, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი ფორმით: საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე; პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: სპეციალობის ზოგადი და დარგობრივი კურსები 225 კრედიტი, თავისუფალი და არჩევითი კომპონენტი 15 კრედიტი.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „აგროინჟინერია“ განხორციელდა ცვლილებები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად დაკორექტირდა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაზუსტდა პროგრამის მიზანი; დაკორექტირდა სწავლის შედეგები/კომპეტენციები; პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად დაკორექტირდა პროგრამის აღწერა; შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი; დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლა-სწავლების) მეთოდები. დაკორექტირდა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა. თანდართული სილაბუსების რაოდენობა იყო 64, გახდა 82; კერძოდ: დამატებულია სოფლის მექანიზაციის დისციპლინები, რომელიც აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, დაკორექტირდა პროგრამის სასწავლო გეგმა ახალი სასწავლო კურსების (სილაბუსები) მიხედვით.

პროგრამის მიზანი წარმოდგენილ პროგრამაში განერილია შემდეგნაირად: მომზადდეს აგროინჟინერიაში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი; შეასწავლოს სამანქანო ტექნოლოგიების, სამელიორაციო სისტემების

გამოყენება სოფლის მეურნეობაში; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვისა და მიწების დაპრობის პროექტების განხორციელება თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენებით; სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანების იდენტიფიცირება და სერვისის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად; სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მანქანათა კომპლექსის საექსპლუატაციო პარამეტრების განსაზღვრა და ძირითადი რეგულირებები აგროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. შეუქმნას კურსდამთავრებულს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მყარი საფუძველი, რათა მიღებული განათლებით წვლილის შეიტანოს აგროინჟინერიის სფეროს გამართულ მუშაობაში.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ შემოწმება განხორციელდა 2021 წლის 4 და 5 მარტს ე.წ. ვიბრიდული ფორმატის სააკრედიტაციო ვიზიტით. კერძოდ, მატერიალურ ტექნიკური ბაზების დათვალიერება მოხდა უნივერსიტეტში 4 მარტს ხოლო შეხვედრები ჩატარდა ZOOM-ის პლატფორმის გამოყენებით დისტანციურ რეჟიმში.. აკრედიტაციისათვის წაროდგენილი იყო 1 საბაკალავრო და 1 სადოქტორო პროგრამა, შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზების დათვალიერება და შეხვედრები მიმდინარეობდა ორივე პროგრამაზე პარალელურ რეჟიმში.

შეხვედრები გაიმართლა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, დამსაქმებელთან, კურსდამთავრებულთან და სტუდენტებთან. შეხვედრები ჩატარდა მშვიდ და სამუშაო გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემოწმდა მოქმედი რეგულაციების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

- გასწორდეს პროგრამაში მითითებული უცხოური უნივერსიტეტების ინტერნეტ ბმულები;
- დამუშავდეს გარკვეული გეგმა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად;
- პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს აკადემიური/მონვეული პერსონალის სამეცნიერო კვლევების დაფინანსება;
- უნივერსიტეტმა იზრუნოს უნივერსიტეტის შენობაში ან მის მახლობლად კვების ობიექტის განსათავსებლად;
- ფინანსური რესურსების გაზრდა პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის;
- სტუდენტების ჩართულობა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მარტივი ფორმულირებით და იყოს აბიტურიენტებისათვის ნათელი და მკაფიო;
- ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც იქნება ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგში არსებული მგომარეობის შესწავლასა და ანალიზზე.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესახებ

1.1 სტანდარტთან მიმართებაში

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა უნივერსიტეტის პოზიცია ჩვენს მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უზუსტობა ნაწილობრივ აღმოფხვრილია, თუმცა სრულიად აღმოფხვრის შემთხვევაშიც კი ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვიზიტამდე მოწოდებული მასალებით და შესაბამისად რეკომენდაციას ვტოვებთ ჩვენს დასკვნაში

2.1 სტანდარტთან მიმართებაში

ექსპერტთა ჯგუფმა ამ საკითხის შესახებ კითხვები ვიზიტის დროს დასვა სხვადასხვა სამსახურებთან, მივიღეთ ის პასუხი რაც წერია არგუმენტირებულ პოზიციაში, თუმცა მაშინაც და ახლაც ვთვლით რომ ონლაინ კურსები არანაირ კავშირში არ არის პროგრამის პოპულარიზაციასთან. შესაბამისად რეკომენდაციას ვტოვებთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ დასკვნაში.

4.3. სტანდარტთან მიმართებაში

ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა კავშირი კვების ობიექტის განთავსებასა და პროგრამულ აკრედიტაციას შორის. საფუძვლად ამ რეკომენდაციას უდევს სტუდენტებთან ინტერვიუ, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ ახლომდებარე კვების ობიექტი არის უნივერსიტეტის შემობიდან იმდენად მოშორებული, რომ ხშირად მეცადინეობებზე დაგვიანება ან გაცდენა უწევთ. ცხადია სწავლის შედეგებზე გავლასთან ამ საკითხს პირდაპირი კავშირი გააჩნია. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ვიზიტის ბოლოს - მიგნებების გაცნობის დროს გავაცანით უსდ-საც

4.4 სტანდარტთან მიმართებაში

ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიუჯეტით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსებისათვის თანხების გამოყოფის საკითხი არ დასტურდება, ასევე აკადემირმა/მონწვეულმა პერსონალმა ვერ დაგვიდასტურა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო პროექტების დაფინანსების საკითხი. გამომდინარე აქედან რეკომენდაციას ვტოვებთ დასკვნაში.

5.3 სტანდარტთან მიმართებაში

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციას საფუძვლად უდევს სტუდენტებთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მათ მიერ არ დადასტურდა პროგრამის მონიტორინგსა და შეფასებაში მათი ჩართულობა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანი წარმოდგენილ აკროინუნერიის საბაკალავრო პროგრამაში განწერილია შემდეგნაირად:

მომზადდეს აკროინუნერიაში თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი; შეასწავლოს სამანქანო ტექნოლოგიების, სამელიორაციო სისტემების გამოყენება სოფლის მეურნეობაში; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვისა და მიწების დამრობის პროექტების განხორციელება თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიების გამოყენებით; სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო მანქანების იდენტიფიცირება და სერვისის ორგანიზება სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად; სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი მანქანათა კომპლექსის საექსპლუატაციო პარამეტრების განსაზღვრა და ძირითადი რეგულირებები აკროტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. შეუქმნას კურსდამთავრებულს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მყარი საფუძველი, რათა მიღებული განათლებით წვლილი შეიტანოს აკროინუნერიის სფეროს გამართულ მუშაობაში.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და შესაძლებელია ადგილობრივი ბაზრისათვის მომზადდეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში აკროინუნერიის სპეციალისტები და პროფესიონალები ძალიან ცოტაა, პროგრამა იძლევა საშუალებას მომზადდეს აკროინუნერიის მიმართულების სპეციალისტები, რომელთა როლი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სურსათის წარმოების, ინდუსტრიული განვითარების, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, სურსათის უვნებლობა და კიდევ სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის „აკროინუნერია“ შემუშავებისას გამოყენებულ იქნა აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ), ბუნებრივ რესურსებისა და სიცოცხლის შემსწავლელი

მეცნიერებათა უნივერსიტეტის (ვენა, ავსტრია), გიუჩოუს უნივერსიტეტის (გუიანი, ჩინეთი) ანალოგები. თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წარმოდგენილი ბმულები, აღმოჩნდა, რომ ბუნებრივ რესურსებისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტის ასევე გიუჩოუს უნივერსიტეტის აგროინჟინერიის პროგრამების ნაცვლად იხსნება „გაურკვეველი“ ინტერნეტ გვერდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

გასწორდეს პროგრამაში მითითებული უცხოური უნივერსიტეტების ინტერნეტ ბმულები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს მარტივი ფორმულირებით და იყოს აბიტურიენტებისათვის ნათელი და მკაფიო.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შევროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის სწავლის შედეგებს:

- შეუძლია სოფლის მეურნეობაში აგროსაინჟინრო პრობლემების იდენტიფიცირება, ფორმულირება და ანალიზი, არჩევს მისი გადაჭრის ოპტიმალურ ვარიანტს;
- განსაზღვრავს ბუნებრივ-კლიმატური, რელიეფური პირობებისა და აგროტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების რესურსდამზოგ სამანქანო ტექნოლოგიებს;
- განასხვავებს ერთმანეთისგან თანამედროვე მეთოდებს, სასოფლო სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების საექსპლუატაციო პარამეტრებს;
- ჩამოთვლის აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვით სასოფლო-სამეურნეო მანქანების სამუშაო ორგანოების რეგულირების წესებს;
- შეძლებს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების სერვისის ორგანიზებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით;
- განასხვავებს წყალსამეურნეო სისტემების ექსპლუატაციის, წყალთა მეურნეობაში ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის ელემენტებს;
- განსაზღვრავს ირიგაციისა და სადრენაჟე სისტემების საექსპლუატაციო პარამეტრებს ნიადაგობრივი და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით;
- განიხილავს მიწების მელიორაციულ ათვისებასთან დაკავშირებით პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელების შესაძლებლობებს;
- ანალიზებს სასოფლო-სამეურნეო და სამელიორაციო სამუშაოების განხორციელებისას მიღებულ ინფორმაციას;
- გვემავს პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, საჯარო პრეზენტაციას, მკაფიო არგუმენტაციას ექსპერტებთან, უახლესი ინფორმაციის მოპოვებას, მის საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას და კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას;

აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო

პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები, დაშვების წინაპირობების გათვალისწინება კი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ლოგიკურ ბმას და განვითარებას: ცოდნის შექმნა, გაღრმავება-განმტკიცებისაკენ. სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია სწავლება/სწავლის მეთოდები და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. სილაბუსების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით სავალდებულო და არჩევით კურსებში გათვალისწინებულია სწავლის შედეგები. სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და შეესაბამება დარგის სპეციფიკას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, კერძოდ ქულები, რომლებსაც ის აგროვებს შუალედური და დასკვნითი გამოცდებით, ასევე სხვადასხვა ტიპის აქტივობებით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები განვირგნოვით სასწავლო კურსის სილაბუსებში. სტუდენტის აქტივობები ფასდება სტუდენტის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების, რეფერატისა და პრეზენტაციის მომზადების, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების, დისკუსია/დებატებში მონაწილეობის, საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის მომზადება/წარდგენისა და სხვა კრიტერიუმებით, რაც შეესაბამება სასწავლო კურსით მისაღწევ სწავლის შედეგს. სხვადასხვა ტიპის აქტივობების შეფასების დროს ფიქსირდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც საბოლოოდ პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მაჩვენებლის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

შრომის ბაზრის მოთხოვნა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. აუცილებელია გაანალიზდეს როგორც ეროვნული ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციები. წარმოდგენილ „შრომის ბაზრის კვლებიდან“ მკაფიოდ არ ჩანს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის სწავლის შედეგების მკაფიო კავშირი. ექსპერტთა ჯგუფი კარგად იცნობს დღევანდელ ქვეყნის შიდა მოთხოვნებს აგროინჟინერიის სფეროში კარდრებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე მოსაზრება ჩატარდეს აკრედიტაციისათვის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „შრომის ბაზრის კვლევა“-ის კორექტირება განვირგნოვით იქნა რჩევა პროგრამის განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების და განვითარება;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები;

<ul style="list-style-type: none"> • შრომის ბაზრის მოთხოვნების არსებული კვლევების ანალიზი; • პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუ
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის <p>ჩატარდეს შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც იქნება ორიენტირებული აგროსაინჟინრო დარგში არსებული მგომარეობის შესწავლასა და ანალიზზე.</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
---	---	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების აღდევნა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით უცხო ქვეყნის მოქალაქე პროგრამაზე ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია.

ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

პროგრამაზე გამოცხადებული და მიღებული სტუდენტების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება.

წელი	2016	2017	2018	2019	2020
გამოცხადებული ადგილების რაოდენობა	70	50	30	20	10
პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	26	10	11	20	9

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკიდან გამომდინარე შეიძლება იმის თქმა, რომ უნივერსიტეტს აქვს გარკვეული სამუშაოები ჩასატარებელი აბიტურიენტების მოზიდვის თვალსაზრისით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს კომისიამ მოითხოვა ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ. ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს არ აქვს სახელმწიფო გრანტი აღებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია <http://gtu.ge/AboutStu/Mission.php> ;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf ;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დებულება https://gtu.ge/Agro/pdf/agros_debuleba_2018.pdf ;
- აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან
- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხული აბიტურიენტების ეროვნულ გამოცდაზე მიღებული შედეგები.

რეკომენდაციები:

დამუშავდეს გარკვეული გეგმა როგორც პროგრამის რეკლამირებისათვის, ასევე მოტივირებული და მაღალი კომპეტენციების აბიტურიენტების მოსაზიდად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა „აგროინჟინერია“ წარმოადგენს მოქმედ აკრედიტებულ პროგრამას (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 411, 24.09.2012 წ. რომელიც ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე.)

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო

პროგრამაში „აგროინჟინერია“ განხორციელდა ცვლილებები: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/6 ბრძანების შესაბამისად დაკორექტირდა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაზუსტდა პროგრამის მიზანი; დაკორექტირდა სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები; პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად დაკორექტირდა პროგრამის აღწერა; შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი; დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლა-სწავლების) მეთოდები. დაკორექტირდა სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა. თანდართული სილაბუსების რაოდენობა იყო 64, გახდა 82; კერძოდ: დამატებულია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დისციპლინები, რომელიც აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, დაკორექტირდა პროგრამის სასწავლო გეგმა ახალი სასწავლო კურსების (სილაბუსები) მიხედვით.

პროგრამის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული ცვლილება - სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დისციპლინების დამატება აძლევს კურსდამთავრებული გაჰყავს იმ სწავლის შედეგებზე, რომელიც არის საჭირო და მოთხოვნადი დღევანდელ შრომის ბაზარზე: კერძოდ, გასაზღვრავს ბინებრივ-კლიმატური, რელიეფური პირობების და აგროტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიებს; შეძლებს ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სამელიორაციო მანქანების სერვისის ორგანიზებას შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მოცემულია ლოგიკური თანმიმდევრობით, ზოგადიდან კერძოსკენ და მარტივიდან რთულისკენ. პროგრამის საგნობრივ დატვირთვაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მონაწილეობის გამოკითვის შედეგები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ დადგენილ კვალიფიკაციათა მეექვსე დონის სწავლის შედეგებთან, რასაც ითვალისწინებს ბაკალავრიატის საფეხური. სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი შესაბამისობაშია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის „აგროინჟინერია“ სწავლის შედეგებთან.

პროგრამის დანართში ცხრილების სახით წარმოდგენილია დანართი 1 და დანართი 2, რომელთაგან პირველი გვიჩვენებს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობას, ხოლო მეორე - თითოეული ძირითადი სანავლო კურსის როლს ცალკეული სწავლის შედეგის მიღწევაში. ყოველი სასწავლო კურსის მასალა და კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა ეყრდნობა აგროინჟინერიის დარგის აქტუალურ პრობლემებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სფეროს თითოეულ სასწავლო კურსში განვიხილავთ სწავლის შედეგები შესაბამემა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე. თითოეულ სასწავლო კურსში განვიხილავთ სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები. ექსპერტთა ჯგუფმა ბიბლიოთეკაში გადაამოწმა სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა და იგი ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- გამოკითხვის შედეგები;
- სტუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემადგენელ რიგ სასწავლო კურსების (სილაბუსებში): გეოდეზია; ტოპოგრაფიის საფუძვლები; AutoCAD-ი; ნიადაგმცოდნეობა; ჰიდრაულიკა; ელ.ტექნიკა და ელექტრონიკა; სამელიორაციო სატუმბი სადგურები; ირიგაცია გათვალისწინებულია ლაბორატორიული მუშაობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარებას. ასევე სასწავლო კომპონენტების ნაწილი გულისხმობს საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებას, რომელშიც გათვალისწინებულია დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ელემენტები. მისი შესრულებისას სტუდენტი იყენებს მის მიერ მიღებულ ცოდნას, ეძებს მასალებს და ლიტერატურას; ახდენს მოპოვებულ ინფორმაციის ლოგიკურ სისტემატიზაციას და დამოუკიდებლად გამოაქვს დასკვნები. საკურსო სამუშაოების და პროექტების შესრულებისას სტუდენტი სწავლობს წყაროების ანალიზს და კვლევის შედეგების სწორად გადმოცემას; უვითარდება პრობლემის დამოუკიდებლად გადანყვეტის უნარი.

სტუდენტებს პრაქტიკას გადიან სხვადასხვა ორგანიზაციებში - D&S Group, შპს. აგროკონსალტინგი, შპს ლოჯისტიკისა და სერვისული მომსახურების სააგენტო, სადაც მათ პრაქტიკას ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური კადრები. დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და გამოკითხვის შედეგების შედეგად ირკვევა, რომ აგროინჟინერიის პროგრამის სტუდენტებისათვის არის სამარისი რესურსი პრაქტიკის

სრულყოფასთან დაკავშირებული.

აგროინჟინერიის მოქმედი პროგრამა ნაკლებად ითვალისწინებდა პრაქტიკულ კომპონენტს. როგორც სტუდენტები, ხარისხის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი ინტერვიუზე აღნიშნავს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში არსებულთან შედარებით სტუდენტების პრაქტიკის ნაწილი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული. პრაქტიკული ნაწილის გაუმჯობესება განხორციელდა მოხდა სტუდენტების გამოკითხვისა და დამსაქმებლებთან დისკუსიის ანალიზის შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- კონფერენციების მასალები;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. მეთოდები შეირჩევა კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის სილაბუსებში.

სასწავლო კურსების სილაბუსებში გვხვდება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; წერიითი მუშაობის მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის მეთოდი; შემთხვევების შესწავლა (Case study); დისკუსია/დებატები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია; ლაბორატორიული მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრაქტიკული მუშაობა; წერიითი მუშაობის მეთოდი; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; გონებრივი იერიში (Brain storming); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) შემთხვევების შესწავლა (Case study); ევრისტიკული მეთოდი; სინთეზის მეთოდი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა.

ბოლო პერიოდში ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამაზე „აგროინჟინერია“ გამოიყენება ელექტრონული სწავლება (e-learning), რომელიც გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით.

სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის სწავლის საფეხურს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
- სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები <http://gtu.ge/quality/pdf/sc.pdf> ;
- აკადემიურ/მონვეულ პერსონალთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
